Николаю Николадзе


# იმერეთი

№ 3

წელიწადი მესამე.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

პარასკევი 9 იანვარი 1915 წ.

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ. დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.


ეროვნული ბიბლიოთეკა


დაიწყო ხელის მოწერა 1915 წლისათვის

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„იმერეთ“-ზე

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უქმეების შემდეგ დღეებისა.

გაზეთი ღირს:

| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით | ცალკე ნუმერი | საზღვარგარეთ |
|---|---|---|---|---|---|
| 7 მან., | 4 მან., | 2 მ. 10 შ. | 4 აბაზი. | 1 შაური. | ორჯერ მეტი. |

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა სახლი გოკიელისა. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 12—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი. წვრილმან წერილების გამო, რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მოწვეული არიან ახალი თანამშრომლები.



ქ. ქუთაისი

მოსკოვის უდიდესი ფირმა

ამხანაგობა

„ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“

პატივისცემით აუწყებს ბ.ბ. მყიდველებს და კლიენტებს, რომ მან სრულ საკუთრებათ შეიძინა პარტიობით საქონლის საწყობი და წვრილი სავაჭრო მაღაზია ჰაებზე დამყარებული ამხანაგობის

„ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი“-ს,

რომელიც მდებარეობს ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის პირდაპირ.

როგორც წარმომადგენელს პროხოროვის ტრიოხგორნი სამანუფაქტურო ამხანაგობისა ამხანაგობა „ნ. უდალოვს და ი. ვავილოვ“-ს

აქვს დიდი საფაბრიკო საწყობები სამანუფაქტურო საქონლის მოსკოვში და როსტოვში, რის გამოც მას შეძლება ეძლევა ქუთაისის განყოფილებისათვის მუდმივათ იქონიოს დიდძალი ასარჩევი საუკეთესო სამანუფაქტურო საქონელი სხვა-და-სხვა ცნობილი ფირმების.

სტუდენტი,

უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისთვის. აგრეთვე უმაღლესი დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლების მასწავლებლად, „ჩინზე“ და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული, მისამართი: ძველი თფილისის ქუჩა ჟორჟოლაძის სახლი.

6—1.

სამკურნალო

კაბინეტი ელექტრონისა და სინათლის

ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელის შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6 8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

დოკტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ხარკოვის უნივერსიტეტის, ვარლამ პ—ძე მოსეშვილი 7 დეკემბრიდან ავათმყოფების მიღებას დაიწყებს (შინაგანი და ნერვებით სნეულებიანი) დილის 8—3 საათამდი, გოსპიტლის ქუჩა, ბართლომე მოსეშვილის სახლში № 6.

ექიმი ი. ჩაჩქოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

ექიმი დავით ნ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებით ავათმყოფებს თავის ბინაზედ დილით 8—11 საათამდის, საღამოს 7—8 საათ თფილისის ქუჩა სახლი ნ. ჩიკვაიძის.


# ევროპის ომი.

(პეტროგრადის დეპ. სააგენტ).

## საფრანგეთის ბრძოლის ველზე.

**პარიზი.** 6 იანვარი. გავასის სააგენტო იტყობინება, რომ ბელგიის ბრძოლის ველზე ქარიშხალი კვლავ მძინვარებს და თან თოვს. სწარმოებდა მხოლოდ არტილერიის ბრძოლა. ჩამოთოვა აგრეთვე არასის რაიონში, რომელიც ცეცხლის გაჩენის გამო, ჩვენ იძულებული გავხდით 5 იანვრის ღამეს დაგვეტოვებია. ჩვენმა მძიმე არტილერიამ რამდენჯერმე ჩააჩუმა მტრის ბატარეია. როგორც იტყობინებოდენ სერიოზული შეტაკება ლაბუასალში მოხდა, სადაც ცეცხლის გაჩენის გამო, ჩვენ იძულებული ვიყავით პოზიციები დაგვეტოვებია 5 იანვრის ღამეს. გათენებისას მტერმა განაახლა იერიშები. ფორტის ამ ნაწილს სუასონის რაიონში გერმანელებმა ზარბაზნები დაძინეს 4—5 იანვრის ღამეს. სენპოლზარბაზნების დაშენა იერიშებით სწარმოებდა. 5 იანვარმა წყნარად გაიარა. მდ. ენის ხეობაში, სუასონის აღმოსავლეთით, რეიმსის ნაწილში არტილერიის ბრძოლა სწარმოებს. პონტამუსონის ჩრდილო-დასავლეთით მტრის ახალი სიმაგრეები დავიკავეთ. ლეპრეტის ტყეში ამ ქამათ 500 მეტრის სიგრძეზე გერმანელების თხრილები ავიღეთ. ვოგეზში არტილერიის ბრძოლაა, განსაკუთრებით გოაპდესანტტანის რაიონში.

**პარიზი.** 6 იანვარი. საღამოს 11 საათი. ოფიციალური. მთელ ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ფრანგების ნავი „საფირი“, რომელიც დარდანელში საყარაულოთ იდგა 2 იანვრის დილიდან ჩვენს საზღვაო ძალას არ შეერთებია. უცხოეთის პრესა იტყობინება, ვითომც ეს ნავი ოსმალეთის გემებმა დაატყვევესო.

**პარიზი.** 7 იანვარი. გავასის სააგენტო იტყობინება, რომ ნიუპორის რაიონში, ზღვისა და სომს შუა, ჩვენს ფრონტზე ძლიერი არტილერიის ბრძოლა სწარმოებდა, რომლის დროსაც მტერი ცდილობდა ჩვენი ხიდის დანგრევას იზერის შესართავთან, მაშინ როდესაც ჩვენ შევსძელით მტრის მეორე ხარისხოვანი სიმაგრეების ნაწილის განადგურება და აგრეთვე ძლიერათ გამაგრებული ფერმის სენჟორჟის ახლოს. იპრისა და ლანსის მიდამოებში სხვადასხვა არტილერიის ბრძოლა სწარმოებდა. მტერმა არასის მახლობლათ ბლანჟეს ძლიერათ დაუშინა ზარბაზნები. იერიშები არ მოუტანია. სომიდან არგონამდი სუასონ-რეიმს-კრანის რაიონებში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. პერტისა და მასიჟის ჩრდილოეთით ჩვენი არტილერია მარჯვეთ ესროდა მტრის სანგრებს. არგონებში გრიურის ტყეში მტერმა თავგანწირული იერიში მოიტანა ჩვენს ერთს სანგარზე. ჩვენი ჯარი წუთიერ დაფრთხობის შემდეგ, მედგრათ ეკვეთა მტერს და ორჯერ კონტრიერიშის მიტანით უკუაგდო პირველათ მტრის უდიდესი ნაწილი და შემდეგ თანდათან დაიკავა მთელი ხაზი მტრის პოზიციისა. სენტბერში გერმანელებმა ნაღმით ჩვენი სანგარების ნაწილი ააფეთქეს, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით იყო, მაგრამ ჩვენი ჯარი ეკვეთა მათ და არ მიუშვა მტერი სანგარის აღებამდი. პანტამუსონის ჩრდილო-დასავლეთით ლეპრეტის ტყეში ჩვენ ასი მეტრის მანძილზე გავმაგრდით წინათ ჩვენთან აღებულ გერმანელების სანგარებში. მტერი შეეცადა ჩვენს ჯარზე იერიშის მოტანას, მაგრამ უნაყოფოთ დაურჩა. ტანნის მიდამოში არტილერიის ბრძოლა სწარმოებს ჩვენს სასარგებლოთ.

## რუსებისა და გერმანელების ბრძოლა.

**პეტროგრადი.** 7 იანვარი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან: 6 იანვარის განმავლობაში მთელს ფრონტებზე არსებითად არა მომხდარა. სწარმოებდა მხოლოდ ჩვეულებრივი სროლა თოფითა და არტილერიით. რავის ჩრდილოეთ რაიონში გერმანელები ორჯერ შეეცადენ იერიშის მოტანას, მაგრამ ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა შეაჩერა და იძულებული გახდა უკან დაიხიათ. 5 იანვრის საღამოს სოფელ ვიტკოვიცის რაიონში გერმანელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს მოწინავე სანგარებზე, ანათებდენ რა მას 300 ნაბიჯის მანძილზე პროჟექტორებით, რაკეტებითა და ანთებული ჩალით. ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა. 5 იანვრის საღამოს დასავლეთ გალიციაში გერმანელებმა ჩვენს პოზიციებს ძლიერათ დაუშინეს ზარბაზნები, რომელმაც ორ სოფელში ცეცხლი გააჩინა. მტერი წამოვიდა იერიშის მოსატანათ და მოაწია ჩვენს მავთულის ღობეს, მაგრამ ჩვენი არტილერიის ცეცხლის წყალობით მტერმა წინ ვერ წამოიწია, დიდი ზარალი ნახა და თავის პოზიციებისკენ დაიხია. ბუკოვინაში ჩვენი ჯარი მარჯვეთ მიიწევს წინ. ბრძოლით აიღო სოფელი იოგანეშტი, რომელიც 15 ვერსის მანძილზე იმყოფება დარნავატრის ჩრდილოეთით. ამ ბრძოლის დროს დავატყვევეთ აფიცრები და ჯარისკაცები.

## ძალმომრეობა.

**ოდესა.** 7 იანვარი. მოვიდენ იერუსალიმში მყოფი სასულიერო მისიის 40 წევრი არქიმანდრიტი სერგის მეთაურობით. მისიის უფროსი არქიმანდრიტი ლე-

ონიდი ალექსანდრიაში იმყოფება. მოხელეები გადმოგვცემენ, რომ წამოსვლისას ოსმალეებმა ძალმომრეობა იხმარეს მათზე. მისიის ქონება გაიტაცეს.

**რუსებისა და ავსტრიელების ბრძოლა.**

**ბუქარესტი.** 7 იანვარი. ფალტიჩენიდან ბუკოვინაში მომხდარ ბრძოლის შესახებ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს იტყობინებიან: ოთხი იანვრის ღამეს გაცხარებული ბრძოლა მოხდა მუნკაკუმასთან რუსებსა და ავსტრიელებს შორის, რუსებმა იერიში მიიტანეს ფუნდულიდან და მოლდავიდან, მესტიკანიშტსა და იაკობენში მყოფ ავსტრიელებზე. მესტიკანეშტი და იაკობენი ბუნებრივს, მიუდგომელს პოზიციებს წარმოადგენენ, მიუხედავათ ამისა, ავსტრიელები დამარცხებულ იქნენ მესტიკანიშტენთან და იძულებული გახდენ უკან დაეხიათ, რადგანაც რუსის ჯარისაგან გარსშემორტყმა მოელოდა, რომელმაც შემოუარა მესტიკანიშტესა და მუნკაკულს და მივიდა ზიოკანესტამდი, რომელიც იაკობინზე ექვსი კილომეტრით არის დაშორებული. ავსტრიელების ზარალი ამ ბრძოლებში აურაცხელია. 4 იანვარს ბრძოლა მეტი სიმწვავით გაგრძელდა ჯუმალთან, სადაც რუსის ქვეითა ჯარმა შეუკავებელი იერიშით სტრატეგიული პოზიციები დაიკავა ავსტრიელების პირდაპირ, რომელიც შერეული ბრიგადით გამაგრდენ იაკობენთან და ჯუმალესთან. ავსტრიელების სარდლის შტაბი დარნავიტრეში იმყოფება. ამჟამათ ბრძოლა ზიოკანსტში სწარმოებს. ავსტრიელებმა რუმინიის საზღვარზე საყარაულო ჯარი გააძლიერეს, რათა ხელი შეუშალონ რუმინიაში გადასვლას ჯარიდან გაქცეულებს. საზღვარზე საყარაულო ჯარის შედგენილობაში განსაკუთრებით მადიარები და ავსტრიელები შედიან.

## ჰაერში ბრძოლა.

**იარმუტი.** 7 იანვარი. 8 საათსა და 30 წუთზე მტრის დირიჟაბლმა რამდენიმე ყუმბარა ისროლა და ქალაქი ძლიერ დაზიანა.

**ლონდონი.** 7 იანვარი. იარმუტში ყუმბარებმა აურაცხელი შუშები ჩაამტვრია ფანჯრებისა და მაღაზიებსა და სახლებში. ერთ კაცს თავი წააგლიჯა. ორი ყუმბარა ზღვის ახლოს დაეცა. ორი ყუმბარა [illegible] შენობას. სიბნელის გამო, ცეპელინები არ ჩანდენ. მოისმოდა მხოლოდ ხმაურობა. პროპელერიდან ჩამოგდებული იყო ხუთი ყუმბარა ათი წუთის განმავლობაში. მოკვდა სამი კაცი. ცეპელინმა ორი ყუმბარა შერინგამში ჩამოაგდო და რამდენიმე კი კრომერში. 10 საათსა და 45 წუთზე ცეპელინმა ქალაქ კინგსლინგის თავზე გადაიფრინა და ესროლა ოთხი ყუმბარა. რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო სანდრინგების მიდამოებში იქ. სადაც ამ ჟამათ ინგლისის მეფე იმყოფებოდა.

**ლონდონი.** 7 იანვარი. კინგლინში დაინგრა ორი სახლი, ერთი დაზიანდა. ერთერთი სახლის ნანგრევებიდან ორი მკვდარი ამოიღეს. მეორეში ორი დაჭრილი: დედა ძუძუმწოვარა ბავშით. სულ ჩამოგდებული იყო ექვსი თუ შვიდი ყუმბარა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქის თავზე ცეპელინმა გადიარა.

## ოსმალეთის ასპარეზი.

**თფილისი.** 7 იანვარი. კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა უმაღლეს მთავარსარდლისაგან შემდეგი შინაარსის დეპეში მიიღო: გულით ვხარობ, რომ კვლავ მეძლევა საშუალება მოგილოცოთ თქვენ და გმირულ ჯარს კავკასიისა, თურქესტანისა და ციმბირისას ბრწყინვალე გამარჯვება კარაურგანთან. ჩვენმა გასაკვირალმა ჯარმა კვლავ დაამტკიცა თვისი უძლეველი ძალა და, რომ ღვთის შეწევნით მათთვის საძნელო არა არის რა. გთხოვთ გადასცეთ ყველას, გამარჯვების მონაწილეს და აგრეთვე ყველა ოტრიადს, რომელთაც ხელი შეუწყეს ამ გამარჯვებას, ჩემი უუგულითადესი მადლობა და ვუსურვეთ კვლავაც ბრწყინვალე გამარჯვებანი.

გენერალ-ადიუტანტი **ნიკოლოოზი.**

კავკასიის ჯარების შტაბისაგან.

**პეტროგრადი.** ოფიციალური. ახლიკის, ლავსორისა და კიაგანის რაიონებში 6 იანვრის განმავლობაში ოსმალების მოწინავე ჯართან მთელი რიგი ბრძოლა მოხდა. მტრის ჯარის დარჩენილმა ნაწილმა საჩქაროთ უკან დაიწია. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ბევრი ტყვე. დავატყვევეთ ოსმალეთის ლაგერი. 5 იანვარს არდანუჯი დავიჭირეთ. ჩვენმა ნაღმოსანმა, რომელიც ნაპირების დასათვალიერებლათ იყო გაგზავნილი, არხავასთან ოსმალეთის 12 დატვირთული გემი დაღუპა. დანარჩენ ნაწილებში შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ვაშინგტონი.**

კონგრესის წევრს ლობეკს განზრახვა აქვს იშუამდგომლოს, რაც შეიძლება მალე გაარჩიონ მისი წინადადება, რომლითაც უნდა დაევალოს შეერთებული შტატების პრეზიდენტს გამოაცხადოს ყველა სახელმწიფოს ვაჭრობის ემბარიგო, რომლებიც საერთაშორისო უფლებათა მიუხედავათ ამერიკის საქონელს ატყვევებენ. ლობეკის აზრით, პრეზიდენტს შეუძლია ტამოჟნის მოწმობები არ მისცეს უცხო გემებს და მიიღოს ზომები მათი ვაჭრობის წინააღმდეგ.

**ქრისტიანია.**

გარეშე საქმეთა მინისტრი საიდუმლოთ იტყობინება დაწვრილებით ცნობას მალმეში მეფეების ერთმანეთის ნახვას შესახებ. მინისტრმა პალატას მოახსენა სათანადო ზომები, რომლებიც მიღებულია სახელმწიფოს დასაცავათ.

**პეტროგრადი.**

გერმანიის მთავრობამ აუკრძალა ყველა ნეიტრალურ სახელმწიფოებიდან გაზეთების შემოტანა, გარდა იმ ოფიციალური გაზეთებისა, რომლებიც ამ სახელმწიფოებში გამოდის.

**ზღვაზე.**

რუსის ნაღმოსნები, შეიჭრენ რა სინოპის ყურეში, ორთქლმავალი „მეორგესი" და 3 ხომალდი ჩაძირეს. ეკიპაჟები გადარჩნენ.

**ოსმალეთი.**

თვალების ასახვევათ ოსმალების დამარცხების შესახებ რუსების ფრონტზე, ოსმალეთის მთავარმა ბინამ გამოაქვეყნა შემდეგი: „მოხდა სასტიკი ბრძოლა კავკასიის ფრონტზე, მაგრამ რუსეთის ჯარმა მიიღო შესამჩნევი ძალა-სიმაგრე". ასეთი გამოქვეყნებით მთავრობას სურს ოდნავ შეეხოს ოსმალების ჯარების უკან დახევას, რათა ხალხში უკმაყოფილება არ გამოიწვიოს.

**პეტროგრადი.**

გაზეთებს ატყობინებენ, რომ ოსმალეთის ჯარებს სპარსეთში უერთდებიან ქურთები და პამირისა, შაკრაბასი, ბესზადასი და ოსმალების ტომისანი. ოსმალები მათ დიდ ნადავლს პირდებიან. მათ შორის დიდი უწესოებაა. სპარსეთის მთავრობას ძალუძს მათ წინააღმდეგ რაიმე ზომები მიიღოს.

## გერმანიაში.

ერთი თვის შემდეგ შესრულდება ასოთხმოცდა ათი დღე დღიდან ომის დაწყებისა,—ეს ის ხანაა, რომელმაც გასტანა 1870—71 წლ. ომის დაწყებიდან ზავის ჩამოგდებამდი. გერმანელები ამ ომს სთვლიან დღევანდელ დრამის წინამორბედათ. ამათ იმედი ქონდათ დღევანდელი ომი მაშინდელივით ადვილათ დაემთავრებინათ, მაგრამ, რაც დრო გადის, იმედი უცრუვდებათ. ასეთი იმედის გაცრუება გამოსჭვივის გერმანელ ხალხის ერთერთის განწყობილებასა, ადგილობრივი პრესასა და იმ ეკონომიურ ძალთა განცდაში, რომელსაც მთავრობა ეწევა. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ გამარჯვებისათვის მარტო კარგათ გაწვრთნილი ლაშქარი არ კმარა, არამედ საჭიროა, მორალური და ეკონომიური სიძლიერე. აგრარიების ორგანოს ცნობილი კონსერვატიული პოლიტიკი და რედაქტორი გაზ. „დეიტ. ტაგ. ცაიტუნგ"-ისა, დოკტორი ერტელი, მოგვაგონებს რამედიდურ სიტყვებს: „ჩვენ გვსურს, უნდა ვიყვნეთ და გამარჯვებულებიც ვიქნებით", სწერს: „შეიძლება ამ სიტყვებს გამოსთქვამდენ მეტის რწმენით. როგორც უნდა ეცადოს ჩვენი ლაშქარი, გამარჯვებას მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როცა მთელი მოქალაქენი ყოველნაირათ მას ხელს შეუწყობენ და საჭირო მსხვერპლს გაიღებენ". ამ შემთხვევაში ერტელის მოსაზრებანი სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს. მას გონია, თითქოს ჯერ კიდევ ყველას არ აქვს შეგნებული დიდი მსხვერპლის გაღების საჭიროება.

დღევანდელ ომს ზოგან როგორც უბრალო მოვლენას ისე უხვდებიან. თუ ომი გაგრძელდა საკვები სურსათი გამოილევა. ხალხის პირველი აღფრთოვანება დღითიდღე ნელდება. პირველში თუ ხალხი თეატრების დახურვას მოითხოვდა, ახლა საცეკვაოთ ოთახებს მოითხოვს. იმპერიალიზმის გამოჩენილი მომხრე პაული რორბახი, რომელმაც ამას წინათ იმპერიალისტური ჟურნალი „გროს. დეუტშ. გამოსცა, ფიქრობს, რომ რუსეთის მოულოდნელი ომში გამოსვლამ სამხედრო სფეროების ანგარიში გააქარწყლა და გერმანიას ომი გაუძნელა. რორბახი განაგრძობს: „მიუხედავათ ზარალისა, მოწინააღმდეგეებს მაინც არასურთ ზავი. მიუხედავათ იმისა, რომ სამთა შეთანხმების იმედი გაბსბურგის მონარქიის დაცემაზე, გერმანიის შინაურ განხეთქილებაზე, სოც. დემ. მილიტარიზმის წინააღმდეგ ოპოზიციაზე და გერმანიის პოლიტიკურსა და ფინანსიურ დასუსტებაზე არ გამართლდა—ყველა ის, რაც კი ჩვენი მტრების მშვიდობიანობის მოყვარულობაზე იწერება და თქმულა, მტკნარ სიცრუეთ უნდა ჩაითვალოს. ბრძოლა ყველა ფრონტზე სწარმოებს". რორბახის აზრით გერმანიის მტრები ჟამთა ვითარების სვლაზე ამყარებენ თავის იმედებს „გერმანელები უკვე პურში ქართოფილის თქვილს ურევენ და ნავთი აღარ ჰყოფნით ეს დიდხანს ვერ გასტანს. როდესაც სურსათი გამოილევა, და გერმანელები ქვეყანას მოწყვეტილი დარჩებიან, მაშინ იძულებულები იქნებიან დაშოშმინდნენ. უფრო ადრე უნდა ავსტრია გამოიფიტოს და მაშინ უნდა ამასთან ზავი ჩამოვარდეს, რაც ხელსაყრელია და სასურველი მარტო გერმანიის წინააღმდეგ ომის წარმოებისათვის". რორბახი შენიშნავს, რომ მთელი ომის განმავლობაში შეიძლება ბევრი მოულოდნელი რამ მოხდეს, მაგრამ დღევანდელი გარემოების მიხედვით უნდა ვსთქვათ, ახლო მომავალში ომის ჩარხი მაინც ისე ვერ დატრიალდება, რომ გერმანიას გამარჯვება მოუტანოს. „მანამდინ,—სწერს ის, —ჩვენ გვმართებს გავიაროთ სასტიკი სკოლა".

მართლაც გერმანია თითქმის ქვეყანას მოწყვეტილ სახელმწიფოთ გარდაიქცა და ბურჟუაზიული პოლიტიკები მაინც ახდენენ სურსათ-სანოვაგის რეკვიზიციას მცხოვრებთა საკვებ ორგანიზაციის მოსაწყობათ. რორბახი მოითხოვს უსაჭიროეს საგნებზე კერძო საკუთრების უფლების მოსპობას. პროფესორი ბალოდი სათადარიგო ხორბლისა და ფქვილის რეკვიზიციას მოითხოვს. მიუნხენის პროფესორმა იაფემ, ამ დღეებში, ბავარიის მეფის თანადასწრებით მოხსენება წაიკითხა, რომელშიც გამოსთქვა სურვილი, რომ განხორციელებულ იყოს ერთგვარი სახელმწიფოებრივი სოციალიზმის სისტემა, რომელიც ომის შემდეგაც უცვლელი დარჩება, რათა სახელმწიფო თავისუფალი იყოს მოიჯარადრებისაგან და სასოფლო მეურნეობის წესისაგან, რომლითაც კერძო პირები აწარმოებენ. (რ. ვ.)

**გროსსმანი.**

## ახალი ამბავი.

ქუთაისში მოწყალე დათა კურსები უკვე დასრულდა. მოწმობა 30 ახალგაზდა ქალმა მიიღო.

✦ ჯარის კაცთათვის თფილი ტანისამოსის მზადება, საგუბერნიო კომიტეტთან არსებულ ქალთა წრის მიერ სისწრაფით სწარმოებს. სახელოსნო მოთავსებულია ქალაქის გამგეობაში. მუშაობა სწარმოებს დღის სამი საათიდან რვა საათამდი.

✦ როგორც ვიცით, მთავრობამ სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეებს ოჯახების გადასახიზნავათ ფული დაურიგა. ისეთ პირებს ვისაც ოჯახები არ გაუხიზნიათ ფულს ისევ უკანვე სთხოვენ.

✦ რედაქციამ მიიღო ქუთაისში გამოცემული ორ-კვირეული ჟურნალი „განთიადი". ჟურნალი სუფთათაა გამოცემული, კარგს ქაღალდზე და შეიცავს 64 გვერდს.

✦ როგორც გავიგეთ წელს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მთავრობის წარმომადგენელი მეექვსე კლასების გამოცდებზეც დაესწრება.

✦ იანვარს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დრამატიული საზოგადოების გამგეობის კრება არ შესდგა.

✦ ქუთაისში ამ ჟამათ მეტათ თფილი ამინდებია.

✦ **დავით აფალიანი** ქუთაისის გუბერნატორმა ქალაქის გამგეობის მდივნათ უკვე დაამტკიცა.

## ქართლის ვითარება.

**ახლო წარსულიდან.**

(მოკლე მიმოხილვა).

### I. 1905 წელიწადი.

ქართლშიაც ხალხი აღელდა, დაირღვა ჩვეულობრივი მყუდროება, ერთობის სიომ დაჰბერა და ხალხმა ცოტახნით თავისუფლათ ამოისუნთქა.

იმ კომისიას, რომელსაც ხალხი უნდა დაემშვიდებინა ყველა მხრიდან გლეხობამ მოთხოვნილებანი წარუდგინა. ამ კომისიაში იყვნენ ვეიდენბაუმი, ლ. ჯანდიერი და გ. ბაგრატიონი სხვათაშორი ამ კომისიის ქართლიდან (ფრონის ხეობიდან) გლეხებმა შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს:

„1. ნადელები უნდა მოგვცეს უსასყიდლოთ და მებატონეები ხაზინამ დააკმაყოფილოს.

„2. რაც ნადელ-გარეთ მებატონეები ფლობელობენ და თითონ არ ხვნენ, ჩვენ მოგვეცეს ე. ი., ყოველ იმ მცხოვრებელს, რომელ სოფელშიაც არის ნადელ-გარეთ მამულები, მიეცეთ იმ სოფლის მცხოვრებლებს და ლალა იხადონ ერთი მეათედი.

„3. ტყიდან ძირ-ნაყარი უსასყიდლოთ დაგვეთმოს და, რაც შეეხება ხეტყის მასალას, დაკლებულის ფასებით უნდა ვისარგებლოთ.

„4. საძოვარი, საწყლი-პირი უნდა იყოს ყველასათვის საერთო და უფასოდ.

„5. ჩვენგან დაყენებული მამასახლისები სულ მთავრობას უნდებიან და ჩვენ არას გვპატრონებენ, ამიერიდან მოისპოს დრამები და მის მაგიერ დაენიშნოთ ხაზინიდან ჯამაგირები, ამასთანავე ვისაც როგორც შეეძლება ჯვრის წერის დროს, ან მიცვალებულის დროს, ისე დააკმაყოფილოს ჩვენგანმა ღვდლები, ე. ი., ჯვრის საწერი არ უნდა აღემატებოდეს სამს მანეთს და წინ გასაძღოლისა—მანეთი.

„7. მაღაზიის ფულს კრეფამენ აგერ ოცი წელიწადია და არ ვიცით, სად მიდის ეს ფული, კვიტანციებს გვაძლევენ, არც ჩვენ გაჭირვების დროს ხელს გვიმართავენ, ამის გამო ვთხოულობთ ეს საქმე მოწესრიგდეს.

„8. საავათმყოფო უნდა იყოს რიგიანათ დაყენებული და უსასყიდლოთ გვპატრონობდეს.

„9. დაგვიარსეთ შკოლები, ყველაზე უკან ჩვენა ვართ ჩამორჩენილი,

„10. გზების გაკეთებაში, ამასთანავე სოფლის სხვადასხვა მოთხოვნილებაში მებატონეებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

„11. ადგილობრივ სასამართლოებში საქმეების გარჩევა ქართულ ენაზედ უნდა სწარმოებდეს.

„12. მოისპოს „სტრაჟნიკები".

14. მოისპოს ცემა-ტყეპა

მებატონეების მხრივ, მოგვექცნენ ზრდილობიანათ, ჩვენც ჩაგვთვალონ ადამიანებათ, პირუტყვები არა ვართ.

წის რაოდენობაზე, შემოსავლის მიხედვით.

„17. მოეხსნას არა პირდაპირი გადასახადი საჭირო საქონელის ე. ი., შაქარს, ჩაის, ნავთს, მარილს და სხ.

„19. მებატონეებს ჰყავთ გაშვებული ცხენები და საქონელი; ქინახულის გვიხდენენ, ამიერიდგან მოისპოს და ნება არავის ჰქონდეს საქონლის გაშვება უმწყემსოთ.

„20. სხვა ყოველივე წვრილმანი გადასახდები მებატონეებისა; მოხელეებისა უნდა მოისპოს".

ამის შემდგომ კომისია შეეკითხა თ-დაზნ.—თქვენი აზრი უნდა გავიგოთ, რა საშუალებით შეიძლება, რომ ხალხი დავამშვიდოთ და მოისპოს არეულება?

ზოგმა უჩვენა ადმინისტრაციის უვარგისობა, ზოგმა რეპრესიები ურჩია, ბევრი ერთმანეთს ერიდებოდა, რომ გამოეთქვათ თავიანთი აზრები შესახებ სასტიკი ზომების მიღებაზედ.

ერთმა თავადმა წარმოსთქვა, რომ დაუყოვნებლივ დროებით ვალდებულნი გლეხი უნდა განთავისუფლდნენ ბატონყმური ნაშთისაგან და ნადელები უსასყიდლოთ დაეთმოთ, ამასთანავე ხიზნებსაც უნდა მიეცეთ მამული, რაზედაც მოსახლეობენ, მათზედ მამულის გადაცემა უნდა შეიმუშაოს აგრარულ კომისიებმა ამ თავადის აზრი ბევრმა იტკიცა და დიდი წინააღმდეგობა გამოაცხადეს.

### II. დამსჯელი რაზმები.

დიახ, თავისუფლების სიომ ცოტახნით ხალხს ტკივილები დაუამა, მაგრამ დაჰქროლა ჩდილოეთის ცივმა ქარმა,

და თან სასტიკი რეაქცია გაამეფა!

ამას თან მოჰყვა რეპრესიები, დამსჯელი

მთავრობის მამასახლისები, სტრაჟნიკები დასხვადასხვა.

დამსჯელმა რაზმებმა დიდი კვალი დააჩნია ქართლის სოფლებს, აი სხვათა-შორის ერთ ამბავს მოუთხრობ ჩემს მკითხველებს:

„მარიანობაა. ქარ-ბუქი იდგა. ყველა თავის კერაზეა. სოფ. ჩდილში ერთი ხიზანის ჯალაბობაც თავის კერას გარს შემოსხმოდა

შუა ცეცხლი გაჩაღებულია, საცეცხლურზე ყურიანი ქვაბია ჩამოკიდებული, შიგ მთლათ დედალი იხარშება.

ცეცხლის წინ ბანდოზე*) ოჯახის უმფროსი ზის, ყავარჯენს დაჰყრდნობია, მის გვერდით სამფეხა სკამზე ფეხ-შემოდებული მისივე მეზობელი წამოსკუპებულა და მუსაიფობენ ეხლანდელ ჭირ-ვარამზე.

ერთ გვერდზე მისი მეუღლე ჩამოჯდომია სართავ ყდებს, კალთაში ბავშვი უზის და საჩოხე შალსა ქსოვს, იქვე მისი გასათხოვარი ქალი წინდების ქსოვაშია გართული, იმზადებს, როდესაც თავის საქმროს წაჰყვება, მის ნათესავებს დაურიგებს.

მეორე მისი ქალიც მატყლს ართავს, მეორე გვერდზე ამ ოჯახის რძალი ვარცლის წინ ხელებ-გადაკლავებული ფქვილსა სცრის, ხმიადებს ამზადებს.

ცეცხლის ბოლოს მწყემსები სხედან და ერთმანეთს ელაპარაკებიან. ცეცხლზე კეცები აწყვია, ტკაცა-ტკუცი გააქვს.

სოფელში ძაღლის ყეფა ასტყდა.

ერთი მწყემსთაგანი მიირბენს სანათურთან და გაიხედავს.

— დედავ, დედავ! ყაზახები არიან, წამოიძახებს და თან გასცქერის.

ყველას ელდა ეცა.

ოჯახის უმფროსი წამოდგება და სანათურთან მივა დასარწმუნებლად, დაინახავს რა წითელ-ქუდიანებს, ესეც ნაწყვეტად წამოიძახებს:

— აკი გაგვიწყრა ღმერთი!

კარებთან ბრახუნი და ძახილი ისმის.

გააღეთ კარი!

ურდულს გამოუყრიან, მამასახლისი და გიჩო ბაბაშვილი დამსჯელი რაზმით (12 კაცით) შემოვა დარბაზში.

ყველანი შიშმა შეიპყრო. ზოგი კარს ამოეფარა, ზოგიც სართავს უკან ჩამჯდარა და გულის ფანცქალით ლოდინში არიან.

ვარცლის წინ მდგომი დედაკაცი ტიტველა—კლავებ ჩაშვებული, თავი ძირს დაუხრია და დარცხვენით ძირს ჩაიცქირება, ველარ მოუხერხებია, რომ სახელოები ჩამოიშალოს.

შემოსვლისათანავე მამასახლისი შესძახებს:

— ადგილიდან არ დაიძრათ, სახლ უნდა გავჩხრიკოთ!

მამასახლისი და დამსჯელი რაზმი

*) საყარაული.

✦ ტასო აბაშიძის ბენეფისი ქუთაისში გაიმართება 15 იანვარს. ბენეფისზე თფილისიდან ჩამოვა მამა ტასოსი—ცნობილი მსახიობი ვასო აბაშიძე.

✦ ბალახვანში შოთა რუსთველის სახელობის სამკითხველოში ამ ჟამათ დიდძალი მკითხველები დაიარება. განსაკუთრებით მოწაფეების რიცხვი ძალზე მატულობს.

✦ ამ დღეებში ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა სამეურნეო კომისიის კრება პურის ფქვილის საკითხის შესახებ. კრებამ დაადგინა, მოვაჭრეებმა ერთი თვის საყოფი ფქვილი არ იქონიეს—ისე ვაჭრობა აუკრძალონ. ერთ თვეში ქუთაისს ჰირდება სულ 75 ვაგონი პური. კრებაზე ვაჭარმა ნ. ჯანელიძემ ფქვილის შენახვის შესახებ უარი განაცხადა.

✦ ქ. ფოთში ნ. ლოლუას ასულის ...ოლაში, რომელშიც ომიანობის გამო ...ქტომბრიდან სწავლა შეჩერებული ...მეცადინეობა 7 იანვრიდან ისევ ...ქო.

✦ ქუთაისის ბაზარზე ამ კვირაში ...იერ ცოტა სანოვაგე შემოდიოდა.

✦ შაბათს, 10 იანვარს, დრამატიული ...სი წარმოადგენს ვ. გუნიას 4 მოქმედებიან „ძღლუმს“.

✦ მდგომარე წელში მეღვინეებს ძლიერ ცუდი დრო დაუდგათ მათი გადასახადი ერთი ორათ გადიდდა, რის გამო ვაჭრობას ძვირად გაზედავს. ამასთან ისეთ პირებს ვინც პოლიტიკისაგან კეთილ საიმედო არ არის, ვაჭრობის ნებას სულ არ აძლევენ. „რესტორანების“ პატრონებს წლიურ გადასახადათ ექვთ 2000 მანეთი, ხოლო ისეთ მეღვინეებს, რომლებიც მხოლოთ გარეთ შეუძლიათ ღვინის გაყიდვა—გადახდებათ ასი მან.

✦ 5 იანვარს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დრამატიული საზოგადოების კრება არ შესდგა.

✦ დრამატიული დასი ამ მოკლე ხანში წარმსადგენათ ამზადებს ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტის დავით კლდიაშვილის 1 მოქმედებიან პიესას, „უბედურებას“.

✦ კვირას, 11 იანვარს, წარმოდგენილი იქნება ბ. დენიერის ცნობილი 5 მოქ. პიესა „ორი ობოლი“ თარგმანი ა ცაგა...ლისა.

✦ ღამით, 5 იანვარს, მწვანე ბაზარში ივანე ლუკას ძე ბექაიას დუქანში ვიღაც ბოროტგამზრახველმა მოიპარა 64 მან.

✦ ამავე ღამეს ვორონცოვის ქუჩაზე ქურდ-ბაცაცები შევიდნენ ბორის განელიძის სახლში, საიდანაც მოიპარეს ერთი კაცის პალტო, ერთი ბავშისა და ქალის სხვადასხვა ტანისამოსი. სულ ღირებული 49 მან. და 10 შაურათ პოლიციამ ქურდების აღმოსაჩენათ ენერგიული ზომები მიიღო.

მოწერილი ამბავი.

**აბაშა.** (სამეგრელო) 28 დეკემბერს ჩვენ დაბაში ბ. ვ. გაბილაიას მეთაურობით და აქაურ ახალგაზდა მომღერალთა მონაწილეობით გაიმართა კონცერტი, სენაკის მაზრის დაჭრილთა სასარგებლოთ.

რამდენიმე ქართულ-მეგრული სიმღერა მშვენივრათ შეასრულეს ახალგაზდა მომღერლებმა, რითაც საზოგადოება ძლიერ ნასიამოვნები დარჩა.

კონცერტის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა; წარმოადგინეს აკაკის „პატარა კახი“ 1 მოქმ. და ვოდევილი „ორი მშიერი“.

წარმოდგენამ ძლიერ სუსტად ჩაიარა.

# თფილისი.

— **ახალი ლაზარეთი.** ამ დღეებში დასრულდება მოწყობა ახალ საქალაქო ლაზარეთისა, რომელიც მოთავსებული იქნება პ. კ. ზუბალაშვილის სახლში, სადაც წინად „ლონდონ“-ის სასტუმრო იყო. შენობა ბ-ნმა ზუბალაშვილმა უფასოდ დაუთმო და ლაზარეთის მოსაწყობად 20.000 მან. შესწირა.

— **დაჭრილი ქართველები.** ამ დღეებში თფილისიდან დონის როსტოვში გაგზავნეს შემდეგი დაჭრილი ქართველი მეომარნი: პარმენ მამულაიშვილი, იასე გიორგაძე, ივლიანე ტოროლაძე, ზაქარია ლაცაბიძე, სევერიან მემარნიშვილი, ტიმოთე წულაძე, არტემ ჯაში, ტრიფონ თევდორაძე, გიორგი ხიდიაშვილი, ივანე რაზმაძე, გიორგი გოგნაძე, დავით უთქმელიძე, პავლე ფუტკარაძე, ვიქტორ კობახიძე, პავლე გიგუცაძე, ევსევი ზედგინიძე, მაქსიმე შონია, ნიკოლოზ ბურულავა, იაკობ შერვაშიძე, რაჟდენ კუბარაძე, მიხეილ გუჩაშვილი და ზაქარია მჭედლიშვილი.

— სასანიტარო რაზმი, რომელიც რუსეთის ეროვნათა კავშირმა გამოგზავნა თფილისში, 7 იანვარს გაემართა ერევან-ჯულფისაკენ და ყარს-არტაან-ოლთისაკენ. რაზმში 400 კაცია. ამათში 10 ექიმია, ხოლო 30 ფერშალი. ეროვნათა კავშირის რწმუნებულად არის ვ. ს. გლებოვი.

— შაბიამანი ამ ჟამად კავკასიაში ცოტა იშოვება, რის გამოც მევენახეები საგონებელში არიან ჩაცვივნულნი. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გამოარკვია, რომ შესაძლებელია შაბიამანის შემოტანა ინგლისიდან შვეციით. შესაფერ თადარიგს საბჭო უკვე შეუდგა.

— **მეღვინეობა.** ბაქოს ქალაქის საბჭოს დაუდგენია, აღძრას შუამდგომლობა, რათა ბაქოშიც აკრძალულ იქნას ღვინის ვაჭრობა. ამის გამო კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ბაქოს გრადონაჩალნიკს მიმართა, რათა ზემოხსენებულ დადგენილების განხილვის დროს მხედველობაში მიიღოს ინტერესი ასი ათას მეღვინეებისა, რომელთაც საშინელი განსაცდელი მოელით ღვინის აღკრძალვით.

— სასანიტარო და საევაკუაციო ნაწილის უმაღლესი უფროსი მისი იმპერატორობითი უმაღლესობა პრინცი ოლდენბურგსკი 4 იანვარს თფილისში ჩამოვიდა და შემდეგ სარიყამიშისაკენ გაემგზავრა. მისი უმაღლესობა თფილისში დაბრუნდა სარიყამიშიდან 6 იანვარს, დილის 9 საათზე. ამ დღეს მისმა უმაღლესობამ ინახულა მეფის მოადგილე და მისი სამხედრო თანაშემწე და დაათვალიერა სამხედრო გოსპიტალი და საევაკუაციო პუნქტი ნავთლუღში. ამავე დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე პრინცი ოლდენბურსკი თფილისიდან გაემგზავრა.

— **ომის გარშემო.** ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოს მოუწყვია საველე ლაზარეთი 8„ საწოლით და სასანიტარო ტრანსპორტი 80 კაცისთვის. საბჭოსთვის რწმუნებულად დაუნიშნავს ექიმი მ. ტერ-მიქაელიანცი.

— **წმ. ნინოს სახელობის ქართულ ლაზარეთში.** 6 იანვარს სალიტერატურო-სამუსიკო საღამო გაიმართა დაჭრილ მეომართათვის. საღამოში მონაწილეობა მიიღეს: დ. მ. მიხაილოვმა, ბ-ნმა კავსაძემ, ვანო სარაჯიშვილმა, და ი. გრიშაშვილმა. ლაზარეთში ამ ჟამად 48 დაჭრილი მეომარია. ამათში 3 აფიცერია.

— **ომიანობისაგან დაზარალებულთა** დამხმარე კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვის დავალებით ქალაქის გამგეობის სადგომში გამოქცეულთა დახმარების საკითხის თაობაზე ქალთა კრება მოხდა მეფის მოადგილის თანაშემწის მეუღლის ა. პ. პეტერსონის თავმჯდომარეობით. კრებამ დაადგინა, გამართოს თფილისში 14 და 15 იანვარს თეთრეულის კვირა. მთელი ქალაქი უბნებად იქმნა დაყოფილი და ყოველ უბანში ზედამხედველი ქალი დაინიშნა. პირველ უბანში დანიშნა ე. ა. ავთანდილოვისა, მეორეში—ტომა შევსკისა, მესამეში—მ. გ. მანკევიჩისა, მეოთხეში—ე. კ. როხლინისა, მეხუთეში—ისთამინოვისა, მეექვსე და მეშვიდეში—ქალანთაროვისა, მერვეში—ბლოტკინისა, მეცხრეში: იარალოვისა, მეათეში—ჩალენკოვისა, მეთერთმეტეში—ს. პ. იაკუბოვიჩისა და მეთორმეტეში—ა. გ. იოანისიანისა. გიდასწყდა, დაიხმარონ ამ საქმეში კავკასიის ქალთა საზოგადოება, ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელი და სომეხ ქალთა საზოგადოების წევრნი. კრებამ დასასრულ დაადგინა, დაბეჭდოს 300,000 ცალი მოწოდება და დაბა-ქალაქებში დაჭზავნოს.

— **ახალი ლაზარეთი.** ამ დღეებში აკურთხეს ახალი ლაზარეთი, რომელიც წითელი ჯვრის საზოგადოებამ მოაწყო საარტილერიო ყაზარმებში. ლაზარეთში 100 საწოლია, ათი-აფიცერთათვის, დანარჩენი-ჯარისკაცთათვის.

## ღამეა ბნელი...

ღამეა ბნელი... შრომის შვილი ბურანში სცურავს,  
მწუხრის ზეწარი მთლად სამყაროს შავითა ჰპურავს;  
ცისა სივრცეში მოკაშკაშე ძღარა ბრწყინავს,  
მხოლოდ მძვინვარე ქარი ღმუის, კვნესის და გმინავს.

გრიგალო ქარო! რას ზუზუნებ ეგრე მწუხარე?  
ვის გსურს შეასვა შხამით სავსე ფიალა მწარე?  
ან ვის დასჩხავი? ვის უმზადებ ცივ-ბნელ სამარეს:—  
სატრფოს, მეგობარს თუ ჩემს ტანჯულ სამშობლო მხარეს?!.

**ი. გრიშაშვილი.**

## მკვლელობა რაჭა-ლეჩხუმის გზაზე.

ლეჩხუმიდან ჩამოსულმა მასწავლებელმა ი. კ—ძემ გადმოგვცა შემდეგი უბედურობის ამბავი, რომელსაც ის წამოსწრებოდა სოფ. მექვენაში, ქუთაისიდან 27 ვერსზე, გასული წლის 23 დეკემბერს. ქუთაისიდან რაჭისაკენ მომავალ ლინეიკას, რომელშიაც ისხდნენ თფილისიდან რაჭაში გადმოსახიზნავად წამოსულნი მეწულე დიანოს მეტონიძე, ცოლითა და რძლით, კანდიტერი მომცელიძე ცოლშვილით და ხუთიოდე ბავში მზის ჩასვლისას, როდესაც ეტლი მოახლოვებია მექვენის სადგურს, გზის ნაპირიდან გამოჩენილა ავაზაკები თოფებით და რევოლვერებით შეიარაღებულნი, ერთი მათგანი ცხენების წინ დამდგარა და თოფი მიუღირებია მეეტლესათვის, რათა მას შეეჩერებია ეტლი, დანარჩენ ვა...ზაკებიც გადმოუყრიათ „ლინეიკიდან“ და დაუწყიათ მათი ჩხრეკა და ფულების ბოჭვა. მეტონიძე ერთ ავაზაკთაგანს ეტლის უკან წაუყვანია და ფულის თხოვა დაუწყია, მეტონიძის ცოლს უთხოვია ავაზაკისათვის, ნუ დაგვხოცავთ და ფული რაცა გვაქვს წაიღეთო, მაგრამ ავაზაკს მაშინვე დაუხლია საცოდავ დიანოს მეტონიძისათვის რევოლვერი და როდესაც იმის მსხვერპლი წაქცეულა, ავაზაკს დაუწყია ჯიბეში ფულის ძებნა; ამ დროს დიანოსის ცოლს, ამოუღებია უცებ დაჭრილი ქმრისათვის ქარქაშიდან ხანჯალი და თვალის დახამხამებაში გაბედულად ჩაურავს ხანჯალი ავაზაკისათვის მარცხენა გვერდში, რომელსაც იქვე დაულევია სული, დანარჩენთ გაუტაცნიათ მოკლული ავაზაკი, აუტეხიათ სროლა მგზავრებისათვის, მაგრამ ვეღარავინ დაუჭრიათ და გაქცეულან. საბრალო მეტონიძე სადგურ მექვენას მისვლამდე გარდაიცვალა, ავაზაკებს წაღლოთ მათგან 80 მანეთი; მგზავრების სიტყვით ისინი ექვსნი ყოფილან, მათში ერთი წვერულვაშიანი, დანარჩენები კი ახალგაზდები 17—18 წლისა; ამათ შორის ხნიერი ავაზაკი, რომელიც მეთაურობას უწევდა მათ მოკლულ იქნა მეტონიძის ცოლის მიერ. უბედური მეტონიძე, რომელიც რამდენიმე წელიწადია აღარ ყოფილა თავის სოფელში, ვეღარ ეღირსა სამშობლოში მისვლას. მექვენის სადგურზე ერთი დუქნიდან იმ ღამეს ისმოდა გულშემზარავი წივილ-კივილი ქალებისა და ბავშების, ხალხიც დუქნის წინ ირეოდა. ამ დუქანში იყო დასვენებული ავაზაკების მიერ მოკლული დიანოს მეტონიძის ცხედარი და თავს დასტიროდენ ცოლი და შვილები.

**ვ. ნ—ძე.**

## გულწრფელი სამძიმარი.

21 დეკემბერს ქუთაისის ღარიბ ბავშებზე მზრუნველი საზოგადოების სკოლაში ამ საზოგადოების გამგეობამ პანაშვიდი გარდაიხადა თავმჯდომარის ეკატერინე ბესარიონის ასული მოსიძის შვი-

---

ამ ფეხ-მძიმე დედაკაცს აგერ მესამე თვეა ქმარი შორეულ ციმბირში ყავს გაგზავნილი, როგორც პოლიტიკური დამნაშავე, მთელი ოჯახი ამას დააწვა, ძუძუმწოვარა ბავშვიც მოსავლელი ყავს, თუმცა მოხუცებული მამამთილი დაფუსფუსებს სახლში, ამას ბევრი არა შეუძლიან-რა, დაუძლურებულა სიბერისაგან.

ღამეა. ცეცხლის წინ მოკეცილა ფეხმძიმე დედაკაცი, აკვანი უდგია, ამის მამამთილს სძინავს. ჭრაქი ჰკიდია დედაბოძზე, მკრთალად ანათებს.

ფეხით აკვანს არწევს, ხელში წინდის ჩხირები უჭირავს, წინდას ქსოვს.

— ეს მეხუთე წყვილსა ვქსოვ, ფიქრობს თავის თავად ეს ახალგაზდა ფეხმძიმე დედაკაცი,—ნახევარი კიდევ დამრჩა მოსაქსოვი. ოხ, ღმერთო, როდის იქნება, რომ ამ მტარვალებს მოვრჩე! მწარედ ამოიოხრებს.

— აგერ სამი თვეა ჩემი მიხა, ჩემი პატრონი მომაშორეს, შორს უცხო ქვეყანაში უკრეს თავი. ვინ არის შენი პატრონი ჩემო მიხა?! გაქვს რამე საჭმელი, ან საცმელი? მწარედ მოსთქვამს და თან ქსოვს.—ნეტავ მოვესწრები კიდევ შენს ნახვას, ჩემო მიხა! ოხ, ღმერთო! გვაკმარე ამდენი ტანჯვა! ხელებს გაშლის და შეევედრება,—ღმერთო ძლიერო, გარდმოავლე ჩვენ ქვეყანას შენი ალსავსე თვალი, შეგვინდე და დაგვიხსენ ამ მტარვალებისაგან! ღვთის მშობელო, შენც გევედრები, ჩემი მიხა მშვიდობით დამიბრუნო!

ერთი ძალუმად ამოიოხრებს და ისევ განაგრძობს წინდის ქსოვას.

ჩაეძინება.

გამოიღვიძებს, თითქოს ვიღაცამ ხელი ჰკრაო და დაინახავს, ცეცხლში გდია ნართების გორგალი ნახევრად დამწვარი, შეტრუსული.

— ვაიმე! წამოვარდება, სწვდება გორგალს, გადმოაგდებს.

— რაღა ვქნა! შეღრიალებს და თავპირში ხელებს წაიშენს.

ბებერი გამოიღვიძებს, წამოდგება, დაუძახებს:

— რა მოგივიდა, დედაკაცო? რა დაგემართა!

— რაღა რა მოგვივიდა! დავიღუპენით, იმ მტარვალებს ველარ გადაურჩებით, ვიღა იქნება ჩვენი მფარველი, მწარედ შეჩივლებს მამამთილს.

— გამაგებინე, რა იყო?

— აი! ნახევრად დამწვარ ნართებს გორგალს გადაუგდებს.

— ოჰ! ეს როგორ მაგივიდა?

— ძილში გადამვარდნია, რაღა გვეშველება,

ამასობაში ბავშიც გამოიღვიძებს, ატირდება. დედა ძუძუს მისცემს, მაგრამ მაინც არ გაჩუმდება, უყვირებს. ბავში მიყუჩდება, დედაკაცს აკვანზედ დაეძინება.

ბებერი მივა ცეცხლთან, ჩამოჯდება და მწარე ფიქრებს მიეცემა.

გათენდება.

დედაკაცს ნაცრის ფერი ადევს, აკანკალებულის ხელით ოთხ წყვილ წინდას გადასცემს.

— იმ გორგალს ამაზე მეტი არ გამოუვიდა?

— გთხოვთ, თქვენ გენაცვალეთ, თქვენი ჭირიმეთ, გადასცეთ მაგათ, რომ წუხელის ცეცხლში უცაბედათ ჩამივარდა გორგალი, დამეწვა, არაფერი მაბადია, ვიყიდო მაინცა.

III. **ლალების ამკრეფი კომისია.**

შესდგა ლალების ამკრეფი კომისია და შეუდგნენ ლალების გადახდევინებას. თითქოს გლეხების გამოჯავრებით, ცუდი ამინდი დაიწყო და ამ ძან-ძახში ეზიდებიან ლალებს გომის სინდიკატში. გზაში ვერ აუქცევთ, ურემი ურემზე მიდის. დიდი დიდი გაჭირვება დაადგათ გლეხებს 1906—1907 წლებში.

კომისიის მიერ საჩქაროდ დადგენილ განაჩენებს ბევრი უსამართლობა მოჰყვა: ბევრს გირაოთ ჰქონდა მებატონისაგან სახნავი მამულები და ამ კომისიის განაჩენის ძალით ლალას იხდის: ამასთანავე არიან მონასყიდეებიც და ნასყიდობა შესრულებული არა აქვთ, თუმცა კი მებატონეს ფული მიღებული აქვს და ესენიც კომისიის განაჩენის ძალით ლალას იხდიან.

ორი და სამი წლის ლალას ერთად ახდევინებდენ, თუმცა კი ნაბძანებია, რომ ერთი წლის ლალა გადაახდევინონ, მაგრამ ვინ არის გამგონი? რომელ სოფელშიც კი მემამულენი შევიდნენ დიდი ონავრობა მიაყენეს გლეხებს. გაკითხვა აღარ არის: ორ საათს არ აცდევინებენ, რომ აქეთ-იქით მიდგნენ და დააკმაყოფილონ მემამულენი.

ისეთი გლეხი, ან ხიზანი არ მოიპოება, რომ ხუთი თუმანი, ცხრა თუმანი, თორმეტი თუმანი არა ხდებოდეს. ცალ-უღელა ხარის პატრონმა 55 მან. ლალას რომ გადიხდის, რაღა უნდა დარჩეს? უკანასკნელი სარჩო გაჰყიდეს და ისე დააკმაყოფილეს მიწის პატრონნი.

ერთ სოფელში შევიდნენ თუ არა, მოსთხოვა დაკმაყოფილება. გლეხებმა სთხოვეს, სამი დღე გვადროვეთო. ამის გაგონებაზე მოხელენი გაჯავრდენ.

ამასთან გლეხებს გამოუცხადეს, თუ რომ ამ საათში არ გასწორდებით, ყველას ამ დღეს დაგაყენებთო. რა ექნათ: მაშინვე ზოგმა ივალა, ზოგმა თავის თავის სარჩო სიმინდი ჩამოყარა ძარიდან, დაცეხვა და წაიღო გასაყიდათ, ზოგმა ღორით, ინდოურით—ნახევარ ფასში გაისტუმრა მემამულენი.

ლალების ამკრეფ კომისიას დიდი დანაშაული მიუძღვის გლეხების წინაშე. არც ერთმა არ იცის რის მოვალეა, რა მისცეს მემამულეს.

გლეხი მიდის მომრიგებელ შუამავალთან და ეუბნება:

— რამდენი ლალა უნდა მივცე ჩემს ბატონსაო?

— გან ჩენები ბოქაულთან არის და

ლის ძლექსის სულის მოსახსენებლათ, რომელიც, ბრძოლის ველზედ იქმნა მოკლული. საზოგადოების წევრებს გარდა, პანაშვიდს სხვანიც დაესწრენ, სხვათა შორის იმ სკოლაში მოსწავლე ბავშები. პანაშვიდის შემდეგ, ერთმა მოსწავლე ქალმა შემდეგი სიტყვით მიმართა გულდამწვარ ჭირისუფალს:

დიდათ პატივცემულო ჩვენო ძვირფასო დედა, კატო! ჩვენ, ამ შკოლის მოწაფეები, ძლიერ შევწუხდით, როდესაც მასწავლებლებმა მწუხარებით გვაცნობეს თქვენი უბედურება. ვსტირით თქვენთან ერთად თქვენს შვილს, დაკარგულს ბრძოლის ველზე, ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას. ჩვენ მოთხრობებიდან ვიცით, თუ როგორი ძლიერია დედის გრძნობა. ფრინველებს, ნადირებს და ყოველივე სულდგმულს სიყვარულის გრძნობა შვილისადმი იმდენათ განვითარებული აქვთ, რომ ხანდახან ისინი თავგანწირულებასაც არ ერიდებიან და რა უნდა იყოს ადამიანის გრძნობა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც დედა კარგავს დაუტირებლათ თავის შვილს; დედამ არ იცის სად არის ძვირფასი შვილის საფლავი; დედა შავი სევდით მოცული, ფიქრობს:

„ეგებ გდიხარ ბრძოლის ველზე,
გულს გასვია მტრის ისარი
და რომ წყლული შეგიხვიოს,
დედა შენი არსად არი...!
ვაი, თუ შენს ლამაზ თვალებს
ყვავი ჰკორტნის და ყორანი;
და უნაგრით უპატრონოდ
დაგხვიხვინებს თავს მერანი“...!

სვტირით თქვენთან ერთად ჩვენო ძვირფასო დედიკო, კატო.

გრძნობით წარმოთქმულმა სიტყვებმა მხურვალე ცრემლით აატირა დამსწრე საზოგადოება.

**დამსწრე.**

## წყალტუპოს აბანოების მუნიციპალიზაცია.

(წერილი მესამე.*)

წყალტუპოს აბანოების შესახებ კერძო თათბირმა ქუთაისში უკვე ოფიციალური ხასიათი მიიღო. იგი დღეს შავიქვის საბჭოს დარბაზიდან ქალაქის თვითმართველობის დარბაზში გადვიდა და დღეიდან ბჭობასა და კვლევას უკვე ოფიციალურათ საზოგადოებრივი ხასიათი ეძლევა. შავიქვის საბჭოში თათფირი თუ კერძოთ მოწოდებულ ცნობებით და ჩვენი მოღვაწეების კერძო წაქეზება-წალაპარაკებით მოხდა და წარმოებდა, სამაგიეროთ, ქალაქის თვითმართველობაში თათფირი უკვე ოფიციალურ დაწესებულებათაგან სპეციალურათ მომდინარეობს განსაკუთრებულ ცირკულიარების და მიწერ-მოწერის საშუალებით.

ასეთი ოფიციალურ-სპეციალური დაწესებულება არის პეტროგრადში არსებული „უმთავრესი სამკურნალო სამართველო“ და მისი მამათმთავარი „სამკურნალო რჩევა“. პირველის განყოფილებები კი რუსეთის ყველა საგუბერნიო ქალაქებში არსებობს საგუბერნიო სამართველოებთან და მისი მოხელე ექიმები განაგებენ საგუბერნიო სამკურნალო საქმეებს.

ქუთაისში არსებულ საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებას თავის უმთავრეს სამართველოსაგან პეტროგრადიდან შემდეგი ცირკულიარი მიუღია: „ომიანობის გამო“ 14 ნოემბრის თარიღით. შექმნილი პირობები საფუძველს გვაძლევენ იმისას, რომ 1915 წლის საზაფხულო სეზონში ჩვენი ქვეყნის სამკურნალო წყლებს მოაწყდება აუარებელი ავათმყოფები. ამ გარემოებამ აიძულა პეტროგრადის სამკურნალო რჩევა გამოიმუშაოს ზომები ჩვენი სამკუნალო ადგილების მოსაწყობათ და სანიტარულის მხრით გასაუმჯობესებლათ. და რომ ამ ზომების, საშუალებების გამომუშავება უფრო საფუძვლიანი და ყოველმხრივი იყოს, სინამდვილით აღნუსხოს და გამოარკვიოს ყოველივე უპირატესობა-ნაკლულევანებანი ჩვენი სამკურნალო ადგილებისა, სამკურნალო რჩევამ გადასწყვიტა მოიწვიოს „ყრილობა (სიეზდი) სამშობლო-სამკურნალო ადგილების გასაუმჯობესებელი“.

ამ ყრილობას ეწოდება „სრულიად რუსეთის ბალნეოლოგიური სიეზდი“, რომელიც დანიშნული იყო 14-18 დეკემბრისათვის, მაგრამ, მერე, მომზადების მოუსწრებლობის გამო იგი გადადვეს 7-11 იანვრისათვის, რაც ეუწყა მთელი რუსეთის საგუბერნიო სამართველოებს.

სატახტო ქალაქის სამკურნალო რჩევას უკვე გამოუმუშავებია მომავალ ბალნეოლოგიურ ყრილობისათვის პროგრამა და სახელმძღვანელო დებულებანი. ამათი მიხედვით ყრილობაში მონაწილეობის მისაღებათ ეპატიჟებიან: 1. რუსეთის ყველა სამკურნალო წყლების და სააგარაკო (კურორტების) ადგილების პატრონ-გამგეებს და ხელმძღვანელებს, 2. ერობების და ქალაქების წარმომადგენლებს, რომლების ხელშია, ან კიდე მახლობლათაა ესა თუ ის სამკურნალო ადგილები, აგარაკები და ხსენებული დაწესებულებები დაინტერესებულნი არიან იმათ გაუმჯობესებასა, საერობო, ან საქალაქო დაწესებულებათათვის გადაცემაში.

3. ყრილობაზე იწვევენ ქალაქებში არსებულ „სამკურნალო საზოგადოებათა“ წარმომადგენლებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან სამკურნალო წყლებით როგორც მეცნიერულათ, ისე პრაქტიკულათ მათი სარგებლობით ავათმყოფებისათვის. 4. იწვევენ აგრეთვე კერძო ექიმებს, სამკურნალო წყლების მკვლევარ მეცნიერთ, სამთო ინჟინრებს, ბუნებისმეტყველთ, მეტეოროლოგებს, გიდროლოგებს, ქიმიკოსებს და მეცნიერების სხვა წარმომადგენლებს, რომელთაც აქვთ სამკურნალო წყლებთან და საგარაკო ადგილებთან ასეთი, თუ ისეთი დამოკიდებულება სამეცნიერო, ანუ პრაქტიკული.

ყველა ამათ (ანუ უკეთ, ვისაც შეუძლია) იწოდებენ მოხსენებებით, რჩევებით და სხვადასხვა გეგმებით, რომლებსაც იანვრის ყრილობაზე მისი მონაწილენი გულსმოდგინებით და საფუძვლიანათ გაარჩევენ, ყოველივე იქ წარმოთქმულს, თუ წაკითხულს ასწონ-დასწონიან, კრიტიკას უზამენ და ამნაირათ გამოიმუშავებენ საერთო ზომებს, თუ როგორ, როდის, რა ხნის განმავლობაში, რა საშუალებით და როგორის ფორმით, სახით შეუდგებიან იმ სამკურნალო-საგარაკო ადგილების და წყლების გაუმჯობესება-გადაკეთების საქმეს.

იანვრის ყრილობაზე ყოველივე თვალსაჩინო გამოკვლევა-მოხსენებები, იქ ნამუშევარი და მიღებული რეზოლიუციები ნაყრილობებს ცალკე შრომათ გამოვა და მაშინ ჩვენ იქ დაუსწრებლებსაც საშუალება მოგვეცემა მთელი რუსეთის ამ სამეცნიერო საქვეყნო ყრილობის ნამუშევარს გავეცნოთ წიგნებიდან. თავის დროზე ქართველ მკითხველებს ამასაც გავაცნობთ და ხსენებულ ყრილობის ამ საერთო დებულების აღნუსხვის შემდეგ გადავალ ორიოდე სიტყვით მის ერთ საამდროვო, მეტათ დამახასიათებელ პროგრამის მუხლზე.

ეს არის თავდაპირველი საკითხი იანვრის ყრილობის პროგრამისა, სახელდობ გადაცემა სამკურნალო ადგილებისა ადგილობრივ საერობო და ქალაქის თვითმართველობათა ხელში, ე. ი. უმაღლეს სამკურნალო რჩევის აზრით სამშობლო ქვეყნის სამკურნალო წყების გაუმჯობესობა წარმოების და მათი სარგებლობის საქმე უნდა აწარმოვონ ერობებმა და ქალაქის თვითმართველობებმა და მაშასადამე უნდა მოხდეს მუნიციპალიზაცია (ქალაქის თვითმართველობათა ხელში გადასვლა) ამ სახელმწიფოებრივ სასარგებლო საქმისა, მათ უნდა ქალაქის და ერობათა თვითმართველობანი დაპატრონდენ, ისინი ამათ შეიძინონ, მოაწყონ და აწარმოვონ. აი უმნიშვნელესი, საზოგადოებრივი საკითხი მომავალი ყრილობისათვის „სამკურნალო რჩევის“ მიერ გამომუშავებული და იგი მართლაც ღირსია მთელი პროგრამის საკითხებისა და ამ სააგარაკო სახალხო საქმის სიდღეისოთ გამშუქებელ-დამგვირგვინებელი. და იგი, როგორც თავდაპირველათ მთავრობასთან უფრო დაახლოვებულ დაწესებულებების მიერ წამოყენებული, ყრილობის მონაწილე მეცნიერ-პრაქტიკოს მოღვაწეთა შორისაც შესაფერ თანაგრძნობას გამოიწვევს და, ეჭვი არაა ხმის დიდი უმეტესობით გავა იანვრის ყრილობაზე და შესაფერისათ დაგვირგვინდება მუნიციპალიზაციის საკითხი ამ საქვეყნო საქმეში.

(შემდეგი იქნება).

**ისიდორე კვიცარიძე.**

*) იხ. „ახ. ივერია“ № 57 და 59.

---

იმას ჰკითხე, უპასუხებს მომრიგებელი შუამავალი.

— თქვე დალოცვილო, ბოქაული გვეუბნება, მებატონის კვიტანციები მოგვიტანეო, მებატონესთან მივდივართ და ერთი-ორათ გვთხოვს! ის მაინც გვითხარით, განაჩენით რამდენი უნდა გადავიხადოთ?

აქ მომრიგებელი შუამავალი გაწყრება და გლეხს მოიშორებს.

გლეხიც, მეტი ჩარა არა აქვს, ისევ მებატონესთან მიდის და ურიგდება. იღბალი იმ გლეხს, რომელსაც შებრალე მემამულე ჰყავს და იოლად ახდევინებს. თორემ არიან ისეთი მემამულენი, რომელნიც განაჩენზე მეტს ახდევინებენ, იმას არ სჯერდებიან, ვინც კომისიის დროს არ დაესწრო და მეტი დააწერეს. მაგალითი ბევრია.

ერთ სოფელში ერთმა მემამულემ თავისი ნაყმევი გაალახვინა. გლეხი მიუბრუნდა ბოქაულს და შესჩივლა:

— თქვე დალოცვილო, რას მერჩით, მაგას ჩემი მართებს, აი, ამ ვექსილით,— თან ამოიღო ვექსილი და ბოქაულს აჩვენა,— და რაღა უნდა მივცეო.

ბოქაულიც რაღას ეტყოდა, გლეხი გაანთავისუფლა და მემამულეს გლეხის გასაგონად უთხრა: „დანარჩენი მაგ ვექსილით მიეციო“.

მეორე სოფელში ერთ გლეხს ემართა მემამულესი ექვსი მუშა (დღიურზე, ღალის გარდა,— სამს მუშას იხდის, ორიდღისა ეჭირა, ღალა გადახდილი ჰქონდა) და ღალისა ორი ქათამი. მოულოდნელად თავს წაადგნენ ამ გლეხს მემამულე და ბოქაული ყაზახებით.

— აბა, ჩქარა, ექვსი მუშას ფული და ორი ქათამიო!—შეუტია მემამულემ.

— მაცადე ორ საათს,—შეეხვეწა [illegible] ლები,—ავერ სიმინდს ჩამოვყრი, ჩავიტან დუქანში, გავყიდი და შენს ფულს მოგართმევ.

— არა, ეხლავე ფული! შეჰყვირა მემამულემ.

— თქვე დალოცვილო, ეხლავე, ასე ხელად საიდან მოგიტანოთ! მადროვე,— მიუბრუნდა გლეხი ახლა ბოქაულს.

— მე არავიცირა, მე კომისიის გადაწყვეტილებას ვასრულებ, ეგ შენი მებატონის საქმეა...

— რა ბევრს ვლაპარაკობით, აი ეს ერკემალი წავიყვანოთ ამ ექვს მუშაში! — მემამულემ უჩვენა ბოქაულს იქვე შინ ლუკმაზე გასუქებული კარგი მოზრდილი ერკემალი. სტაცეს ხელი ამ ერკემალს და გაიყვანეს გარედ.

— ორი ქათამიც დაიჭირე!—უბრძანა მემამულემ გლეხს.

— როგორ, ექვს მუშაში მაგისთანა ერკემალს მართმევთ, სახლში ლუკმაზე გავზარდე და ორი ქათამიც უნდა წამართვათ!?. გაკვირვების კილოთი შეეკითხება გლეხი,—ღმერთს მაინც შეხედეთ, ნუ დამღუპავთ!

— მოიტა, თორემ ხედავ ამ ყაზახებს! —დაემუქრა მემამულე.

— სანამ ამ ლაპარაკში იყვნენ, გულგახეთქილმა დედაკაცმა მოურბენინა ის ორი ქათამიც.

გლეხის ცემა ამ ღალების აკრეფის დროს ხომ ანგარიშში აღარ არის ჩასაგდები. ისეთი სოფელი არ არის, რომ კაცი არ გალახულიყოს.

— კიდეც გვცემენ, კიდეც ღალებს იღებენ, ამ ერთობამაც ვერა გვიშველარა!—გულ-დაწყვეტით ჩაილაპარაკა ერთმა გლეხმა.

(შემდეგი იქნება).

---


# საავაჭრო
## დ. ქებაძისა.
ვორონცოვის ქუჩა.

**იყიდება** ნარდათ ყოველგვარი საბაკალეინო საქონელი უტეუარ ფასებში. 10—

---

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
## კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.

გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ. თ.

---

საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო გაზეთი

წელიწადი მეორე. # შრომა წელიწადი მეორე.

1915 წლის პირველ იანვრიდან გამოდის ყოველ დღე.

წლიური ხელის მომწერლები პრემიად მიიღებენ ვიკტორ ჩერნოვის წიგნს ფილოსოფიური სოციოლოგიური ეტიუდები. (ქართულ ენაზე 300 გვ.) არა ხელის მომწერლებისათვის წიგნი ეღირება 2 მან. ფულის გადახდა წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად: ხელის მოწერისას 3 მან. 1 აპრილს 2 მ. 1 ივნისს 2 მან.

**გაზეთი ღირს:** 1 წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., 3 თვით 2 მან.—40 კ. ერთი თვით 80 კაპ.

**მისამართი:** ქუთაისი, „შრომის“ რედაქცია სახ. აქიმ მ. ლორთქიფანიძისა. ფოშტით: Кутаисъ, газ. „Шрома“ поч. ящ. № 47. უფ.

---

1915 წლის პირველ იანვრიდან ქუთაისში ორ კვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით გამოდის სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი

# „განთიადი“

ჟურნალი უპარტიო იქნება. თანამშრომლებათ მოწვეულნი არიან ყველა ჩვენში არსებული დემოკრატიული მიმართულების ნიჭიერი და გულწრფელი მწერალნი; აგრეთვე ჩვენი პროფესორებიც, რომელნიც ამ ჟამათ რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში მოღვაწეობენ. ქუთათურებისთვის წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მან., ნახევარი წლით—2 მან., სა[illegible] თვით— 1 მან., თვიურათ—40 კაპ., თითო ნუმერი—აბაზათ. ქუთაისის გარეშეთათ[illegible] წლიურათ—4 მ. 60 კაპ., ნახევარი წლით—2 მ. 30 კ., სამი თვით 1 მ. 15 კ., თვი[illegible]რათ—50 კაპ., საზღვარგარეთ ორჯერ მეტი.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ: ხელის მოწ[illegible]რის დროს—2 მან. 60 კ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან. ფუ[illegible] უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спирид. Панцхава

---

**თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება . . . . . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . . . . 20 „
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . . . 15 „
4) ქართული მოძრავი ანბანი ქაღალდზე . 10 „
„ იგივე, კარდონზე გაკრული . . 25 „
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექტიანი . 50 „
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბობი . . 3 „
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . . . 20 „
7) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . . 35 „

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკითხავი წიგნი, შედგ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ, სურათ., მესამე გამოც., ყდით . 85 „
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყებით შკოლებისათვის, ყდით . 20 „
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . . . . . 50 „
4) არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . 30 „
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . . . . . 50 „
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქართ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. . 70 „
7) მისივე. იგივე. ტ. II. . . . 70 „
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი, ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . . . . 20 „
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . . . . 15 „
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყდით . 60 „
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე . 10 „

[illegible]უსული და ქართული კატალოგები მსურ[illegible] უფასოთ ეგზავნებათ. თ.